დანართი #1

ტექნიკური დახასიათება

აგგს-ის გამმართველის გაზაფხული-ზაფხულის ბრენდირებული შარვალი შეთანხმებული ნიმუშის იდენტური:

დასახელება	შარვალი
ქსოვილის დასახელება, შემადგენლობა, მახასიათებლები და გრამაჟი	ბამბა 100%, 245 გრ/მ^2
აღწერილობა	სწორი, ჩაშვებული შარვალი ლურჯი ფერის. წინა ნაწილზე ზემოდან დაკერებული დახრილი ჯიბეები. შუა წვივზე შარვალს, ტოტის გარშემო დაკერებული აქვს 5სმ სიგანის მანათობელი. შარვალს მარჯვენა და მარცხენა მხარეს, გვერდით ნაკერზე აქვს მოცულობითი ჯიბე ზომით (15/19სმ). ჯიბეები ზედა მხარეს კუთხეებში დამაგრებულია. ჯიბის კანტი შესრულებულია სალათისფერი ქსოვილით, ჯიბეს აქვს სარქველები და იკვრება ფხრიწით. შარვალს უკანა ნაწილზე საჯდომის მიდამოში აქვს ორი ზედნადები ჯიბე. ჯიბეებს აქვს სარქველი, რომელიც იკვრება ტექნიკური შესაკრავით (ფხრიწით). შარვლის ქამარი 4 სმ-ია. ქამრის უკანა ნაწილი დამუშავებულია რეზინით. შარვალს აქვს 5 საქამრე. შარვალი იკვრება ელვა შესაკრავით, ერთი ღილით.
ბრენდირება	შარვალს მარცხენა ჯიბის სარქველზე დატანილი აქვს ნეოგაზის ლოგოტიპი ლათინურად 10სმ. სუბლიმაციური ბეჭდვა
ფერი	ლურჯი, სალათისფერი
ზომები	44,46,48,50,52,54,56,58,60,62,64,66
მიახლოებული რაოდენობა	300 ცალი

გამმართველის გაზაფხული-ზაფხულის ბრენდირებული მაისური შეთანხმებული ნიმუშის იდენტური:

დასახელება	მაისური პოლო
ქსოვილის დასახელება, შემადგენლობა, მახასიათებლები და გრამაჟი	ბამბა 100%, 190 გრ/მ^2
აღწერილობა	მაისური არის სწორი სილუეტის, იკვრება 3 ღილზე, აქვს მოკლე სახელო დაბოლოებული რეზინის მანჟეტებით,

	საყელო არის გადაფენილი და გარეზინებული. გულზე მარცხენა მხარეს დაკერებული აქვს ერთი ცალი ჯიბე. სამუშაო შესრულებულია ორ ფერში, მაისურის ძირითადი ფერია ლურჯი, მანჟეტი და საყელო შესრულებულია სალათისფერ ფერში, ბოლო შეკეცილია 2 სმ-იანი შენაკეცით და მოყვება სალათისფერი კანტი.
ბრენდირება	გულზე მარცხენა მხარეს ქართულად 10სმ და ზურგზე ლათინურად 25,5 სმ ნეოგაზის ლოგოტიპი სუბლიმაციური ბეჭდვით.
ფერი	ლურჯი, სალათისფერი
ზომები	44,46,48,50,52,54,56,58,60,62,64,66
მიახლოებული რაოდენობა	300 ცალი

გამმართველის გაზაფხული-ზაფხულის ბრენდირებული ქურთუკი შეთანხმებული ნიმუშის იდენტური:

დასახელება	ქურთუკი
ქსოვილის დასახელება, შემადგენლობა, მახასიათებლები და გრამაჟი	ბამბა 100%, 245 გრ/მ^2
აღწერილობა	სამუშაო შესრულებულია ორ ფერში. ქვედა ნაწილი ლურჯი, ზედა ნაწილი სალათისფერი. ზედა ნაწილის ბოლოში (გულზე და ზურგზე) დაკერებულია 5 სმ-იანი მანათობელი. ზედა ნაწილზე დაკერებული აქვს ორი მოცულობითი ჯიბე. ჯიბეებს აქვს სარქველი და იკვრება ფხრიწით. ჯიბის კანტი შესრულებულია სალათისფერი ქსოვილით. მარცხენა ჯიბეზე მიკრული აქვს გამჭვირვალე პლასტიკი ბეიჯის ჩასადებად. ქვედა ნაწილზე აქვს დახრილი ჯიბეები. ქურთუკი იკვრება ელვა შესაკრავით და ფხრიწებით. ზურგიც არის ორ ნაწილიანი. მკლავის ქვედა ნაწილზე დაკერებული აქვს 5 სმ-იანი მანათობელი. მკლავებს ბოლოში აქვს მანჟეტები. ქურთუკის უკანა მხარე ბოლოვდება მანჟეტით.
ბრენდირება	სალათისფერ ნაწილზე გულზე მარცხენა მხარეს ქართულად, 10სმ და ზურგზე ლათინურად, 25,5 სმ ნეოგაზის ლოგოტიპი. სუბლიმაციური ბეჭდვა.
ფერი	ლურჯი, სალათისფერი

ზომები	44,46,48,50,52,54,56,58,60,62,64,66
მიახლოებული რაოდენობა	100 ცალი

დასუფთავების სამსახურის ქალის ბრენდირებული წინსაფარი შეთანხმებული ნიმუშის იდენტური:

დასახელება	წინსაფარი
ქსოვილის დასახელება, შემადგენლობა, მახასიათებლები და გრამაჟი	ბამბა 100%, 245 გრ/მ^2
აღწერილობა	წინსაფარი-კაბა ლურჯი ფერის, ზემოდან დაკერებული ჯიბით.
ბრენდირება	გულზე ქართულად და ზურგზე ლათინურად (25,5 სმ) ნეოგაზის ლოგოტიპი. სუბლიმაციური ბეჭდვა.
ფერი	ლურჯი
ზომები	One Size
მიახლოებული რაოდენობა	30 ცალი

გამმართველის წყალამრეკლი ბრენდირებული საწვიმარი შეთანხმებული ნიმუშის იდენტური:

ქსოვილის დასახელება, შემადგენლობა, მახასიათებლები და გრამაჟი	ანტისტატიკური; პოლიესტერი 100%, კარბონის ძაფის ჩანართით, 60-80 გრ/მ^2
აღწერილობა	ქურთუკს აქვს სწორი სილუეტი, სამუშაო შესრულებულია ორ ფერში. ქვედა ნაწილი ლურჯი, ზედა ნაწილი სალათისფერი, შუა ნაწილში (ზურგზე, გულზე, მკლავებზე) დაკერებული აქვს 5 სმ-იანი მანათობელი. ქვედა ნაწილზე დაკერებული აქვს ორი ჯიბე, სარქველით და ფხრიწი შესაკრავით. ზურგიც არის ორ ნაწილიანი, კოკეტკა. ქურთუკი იკვრება კნოპკებით, საყელოს ჩათვლით. აქვს აგრეთვე კაპიშონი.
ბრენდირება	სალათისფერ ნაწილზე გულზე მარცხენა მხარეს ქართულად, 10სმ და ზურგზე ლათინურად, 25,5 სმ ნეოგაზის ლოგოტიპი. სუბლიმაციური ბეჭდვა.
ფერი	ლურჯი, სალათისფერი
ზომები	44,46,48,50,52,54,56,58,60,62,64,66
მიახლოებული რაოდენობა	30 ცალი

გამმართველის გაზაფხული-ზაფხულის ბრენდირებული კეპი შეთანხმებული ნიმუშის იდენტური:

დასახელება	კეპი
ქსოვილის დასახელება, შემადგენლობა, მახასიათებლები და გრამაჟი	ბამბა 100%, 245 გრ/მ^2
აღწერილობა	უკან ზომის მარეგულირებელი ფხრიწით;
ბრენდირება	შუბლზე (10სმ) ნეოგაზის ლოგოტიპი ლათინურად, სუბლიმაციური ბეჭდვა
ფერი	ლურჯი
ზომები	One Size
მიახლოებული რაოდენობა	200 ცალი

ზოგადი მოთხოვნები

1. ნაკერები: შესრულებული უნდა იყოს გამძლე ძაფით, ორმაგი გვირისტით და ჩამაგრებებით უბეში, გვერდითა და შიდა ნაკერებზე, ჯიბეებზე, საქამრეებზე და ა.შ. ისეთ ადგილებზე სადაც აქვს მეტი დაწოლა.
2. თითოეულ დასახელებას უნდა ჰქონდეს იარლიყი, რომელზეც დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: ზომა, ქსოვილის დასახელება, ქსოვილის მახასიათებლები, ქსოვილის პროცენტული შემადგენლობა, მოხმარების წესი.

დამატებითი პირობები

1. მომწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს კომპეტენტური ორგანოების ან მწარმოებლის მიერ გაცემული შესაბამისობის სერთიფიკატი, რაც დაადასტურებს ქსოვილის მახასიათებლებს - პროცენტული შემადგენლობა, რეცხვა მედეგობა, გრამაჟი.
2. ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მომწოდებებლმა უნდა უზრუნველყოს თითოეული დასახელების სრულყოფილი ნიმუშის მოწოდება ტექნიკურ დახასიათებაში მითითებული ზომების მიხედვით (ზომები: 44, 46, 48, 50, 52, 54, 56, 58, 60, 62, 64, 66).
3. დამკვეთი დააზუსტებს რაოდენობებს ზომების მიხედვით ნიმუშების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში და გადასცემს დაზუსტებულ შეკვეთას მომწოდებელს.
4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობების მიწოდებიდან 3 თვის ვადაში ნებისმიერი რაოდეობით დამატებითი დაკვეთის განხორციელების შემთხვევაში, მომწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მოწოდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასებითა და პირობებით.